

AXAIOI OF PONTUS: ANCIENT SOURCES AND ONOMASTIC PARALLELS

პონტოსპირეთის Ἀχαιοί: ანტიკური წყაროები და ონომასტიკური პარალელები

LELA CHOTALISHVILI

PhD in Philology

Professor, European University

Teacher of classical Languages, The Language Center at TSU

#1 Ilia Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi, Georgia

+995593342595, lela.chotalishvili@gmail.com<https://orcid.org/0009-0003-3205-6981>

Abstract. This paper presents a comprehensive analysis of the ethnonym Ἀχαιοί attested in Ancient sources across two geographical regions: Greece and the Pontic area. The research draws upon a multidisciplinary methodology integrating critical analysis of Ancient written sources, onomastic investigation, etymological and linguistic approaches, and historical-comparative methods. The ethnonym Ἀχαιοί appears in two parallel contexts. In the Pontic region, these people are described as fierce and nomadic, with tradition explaining their settlement along the northern section of the Black Sea's eastern coast through two accounts: either the expedition of Jason's Argonauts (predating the Trojan War) or migrations following Troy's fall. In Greece, the same ethnonym occurs in the Peloponnese (Old Achaia, Argos, and Mycenae). Additionally, Homer employs Ἀχαιοί as a collective designation for Greek tribes.

The concentration of onomastic material derived from the stem Ἀχαι- in Pontus – including the ethnonym Ἀχαιοί, toponyms such as παλαιά Ἀχαια and Ἀχαια κώμη, the hydronym Ἀχαιοὺς, and the epithet Ἀχαιῶν – points to the deep historical roots of this designation within the region. Etymological evidence suggests a pre-Greek, non-Indo-European origin for the stem (reconstructed as *Akay^wa-), a finding crucial for interpreting onomastic correspondences between the two regions. The presence of variant forms in Georgian translations (*akajebi*, *akeebi*, *akeelebi*, *akavelebi*) underscores the need for standardized terminological conventions. Based on linguistic analysis, this study recommends *akajebi* or *akavelebi* for Pontic populations, while reserving *akavelebi* for Greek contexts.

Two hypotheses may explain the connection between the Achaeans of Greece and Pontus: phonetic similarity and calquing (Greek adaptation of indigenous names and creation of etiological myths), or a common pre-Greek substrate (preservation of a single non-Indo-European stem in both regions, associated with second-millennium BCE migratory processes). This investigation highlights the necessity of systematic study of parallel toponymic and ethnonymic patterns in the Kartvelian and Mediterranean linguistic spheres – research which will enable new scholarly approaches to the historical reconstruction of ancient Colchis and Iberia.

Keywords: Ἀχαιοί, Pontic region, onomastics, pre-Greek substrate, Ancient sources, Georgian translation.

ლელა ჩოთალიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი

პროფესორი, ევროპის უნივერსიტეტი

კლასიკური ენების მასწავლებელი, თსუ ენების შემსწავლელი ცენტრი

ი. ჭავჭავაძის გამზ. N1, 0179, თბილისი, საქართველო

+995593342595, lela.chotalishvili@gmail.com

<https://orcid.org/0009-0003-3205-6981>

აბსტრაქტი. ნაშრომში წარმოდგენილია ანტიკურ წყაროებში დადასტურებული ეთნონიმის Ἀχαιοί კომპლექსური ანალიზი ორ გეოგრაფიულ არეალში – საბერძნეთსა და პონტოსპირეთში. კვლევა ეფუძნება მულტიდისციპლინურ მეთოდოლოგიას, რომელიც აერთიანებს ანტიკური წერილობითი წყაროების კრიტიკულ ანალიზს, ონომასტიკურ კვლევას, ეტიმოლოგიურ და ლინგვისტურ მიდგომებს, აგრეთვე ისტორიულ-შედარებით მეთოდს.

ეთნონიმი Ἀχαιοί ანტიკურ წყაროებში გვხვდება ორ პარალელურ კონტექსტში. პონტოსპირეთში ეს ტომი მოიხსენიება, როგორც ველური და მომთაბარე ხალხი, რომლის განსახლებას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ჩრდილოეთ მონაკვეთზე ტრადიცია ორი ვერსიით ხსნის: იასონის არგონავტების ექსპედიციით (ტროის ომამდე) ან ტროის დაცემის შემდგომი მიგრაციით. საბერძნეთში იგივე ეთნონიმი გვხვდება პელოპონესზე (ძველი აქაია, არგოსი, მიკენი). გარდა ამისა, ჰომეროსი Ἀχαιοί-ს იყენებს ბერძნული ტომების განმაზოგადებელ სახელად.

პონტოსპირეთში Ἀχαι- ძირისგან წარმოებული ონომასტიკური მასალის სიუხვე (ეთნონიმი Ἀχαιοί, ტოპონიმები: παλαιά Ἀχαιά, Ἀχαιά κώμη, ჰიდრონიმი Ἀχαιούς, ეპითეტი Ἀχαιῖδον) მიუთითებს ამ სახელწოდების ღრმა ისტორიულ ფესვებზე რეგიონში. ეტიმოლოგიური კვლევების მიხედვით, ძირი წინაბერძნული, არაინდოევროპული წარმომავლობის უნდა იყოს (*Akay*a-), რაც მნიშვნელოვანია ორი რეგიონის ონომასტიკური პარალელების გაგებისთვის. ქართულ თარგმანებში ეთნონიმის პარალელური ფორმების (*აქაეები, აქეები, აქეელები, აქაველები...*) არსებობა მიუთითებს სანორმო ტერმინოლოგიის შემუშავების საჭიროებაზე. ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე რეკომენდებულია პონტოსპირეთის ტომისთვის ფორმები *აქაეები* ან *აქაველები*, ხოლო საბერძნეთის ტომისთვის – *აქაველები*.

საბერძნეთისა და პონტოსპირეთის აქაეების კავშირის ახსნა შესაძლებელია ორი ჰიპოთეზით: ფონეტიკური მსგავსებითა და კალკირებით (ადგილობრივი სახელწოდების ბერძნული ადაპტაცია და ეტიმოლოგიური მითების შექმნა) ან საერთო წინაბერძნული სუბსტრატის გავლენით (ერთი არაინდოევროპული ფუძის შენარჩუნება ორივე რეგიონში, დაკავშირებული II ათასწლეულის მიგრაციულ პროცესებთან). კვლევამ გამოავლინა ქართველურ და მედიტერანულ ენობრივ სამყაროში პარალელური ტოპონიმებისა და ეთნონიმების სისტემური შესწავლის აუცილებლობა, რაც შესაძლებელს გახდის ძველი კოლხეთისა და იბერიის ისტორიის რეკონსტრუქციის ახალი სამეცნიერო მიდგომის შემუშავებას.

საკვანძო სიტყვები: Ἀχαιοί, პონტოსპირეთი, ონომასტიკა, წინაბერძნული სუბსტრატი, ანტიკური წყაროები, ქართული თარგმანი.

შესავალი. ძველი კოლხეთისა და იბერიის ისტორიის შესასწავლად ანტიკური ხანის (ბერძნულ-რომაული) ტექსტები და ეპიგრაფიკული მასალა უაღრესად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, რადგან კავკასია, როგორც რეგიონი, პირველად სწორედ ანტიკურ წყაროებში გამოიკვეთა. ეს ტექსტები კარგად არის შესწავლილი, თარგმნილი და გამოცემული სხვადასხვა მეცნიერის მიერ (ა. ურუშადის „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“; თ. ყაუხჩიშვილის „საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები“, „ეპიგრაფიკული კორპუსი“; ენციკლოპედია „ანტიკური კავკასია“ და სხვა), თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ბოლომდე შეუსწავლელია ქართველურ და მედიტერანულ ენობრივ სამყაროში პარალელური ტოპონიმებისა თუ ეთნონიმების გავრცელებისა და ურთიერთმიმართების საკითხები; ასევე, არ გვაქვს მათი სრულყოფილი ლინგვისტური თუ ეტიმოლოგიური ანალიზი.

განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს საზღვრისპირა რეგიონები, ვინაიდან აქ მიმდინარე ხალხთა გადაადგილებები, ტოპონიმთა და ეთნონიმთა მონაცვლეობა ბევრ საჭირობოტო და სადავო საკითხს წარმოშობს. ამ დროს ისტორიული მოვლენებისა და ეთნოგრაფიული პროცესების გააზრებისათვის ონომასტიკურ მასალას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ტოპონიმთა ანალიზი საშუალებას იძლევა, გამოიკვეთოს რეგიონის ქრონოლოგიური და კულტურულ-ენობრივი ტრანსფორმაციების დინამიკა, რაც ხელს უწყობს ტერიტორიული და ეთნიკური ცვლილებების რეკონსტრუქციას.

მეთოდები. კვლევა ეფუძნება კომპლექსურ მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს: ანტიკური წერილობითი წყაროების შესწავლას და ანალიზს – განხილულ იქნა ბერძენ და რომაელ ავტორთა ტექსტები.

ონომასტიკური კვლევა – განხორციელდა ეთნონიმების, ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების სისტემური ანალიზი, კერძოდ, ძირის Ἀχα- სხვადასხვა ფორმის იდენტიფიკაცია და შედარება.

ეტიმოლოგიური და ლინგვისტური ანალიზი – ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებზე დაყრდნობით ჩატარდა ფონოლოგიური და მორფემული კვლევა. შესწავლილ იქნა ბერძნული, ლათინური და ქართული ფორმების ვარიაციები, აგრეთვე დიაქრონული ცვლილებები (დიგამას არსებობა უძველეს ფორმებში, ბიზანტიური გავლენა ქართულ თარგმანებზე).

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი – გაანალიზდა II ათასწლეულის ხმელთაშუა ზღვის აუზის მიგრაციული პროცესები, ადრეული პარალელები ეგვიპტურსა და ხეთურ წყაროებში, ასევე ქართული თარგმანების ისტორია XVIII-XX საუკუნეებში.

შედეგები და მსჯელობა. ძველი ცივილიზაციების წერილობით ძეგლებში დასტურდება ეთნონიმები, რომლებიც, მკვლევართა აზრით, სამხრეთ თუ ჩრდილოკავკასიური მოდგმის ტომებს უნდა აღნიშნავდეს. მათი ნაწილი მეტნაკლებად წარმოდგენილია თანამედროვე კავკასიურ ეთნოსებში, ნაწილი კი, სავარაუდოდ, საერთოდ დაიკარგა. ერთ-ერთი ასეთი ტომია პონტოსპირეთის Ἀχαιοί (აქადები), რომელთა განსახლების ადგილი, ფსევდო-სკილაქსის მასალების მიხედვით, თანამედროვე ტუაფსესა და სოჭს შორის უნდა ვივარაუდოთ.

რა ვიციტ პონტოსპირეთის აქადების შესახებ:

ა) ანტიკური ხანის ავტორთა უმეტესობა თანხმდება, რომ ეს ტომი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ჩრდილოეთ მონაკვეთზე ბინადრობდა. წარმოგიდგენთ რამდენიმე ნიმუშს:

სტრაბონი, გეოგრაფია

II. 5. 31

... ταῦτα δ' ἔχουσι τὰ μὲν οἱ Μαῶνται καὶ οἱ μεταξὺ τῆς Ὑρκανίας καὶ τοῦ Πόντου μέχρι τοῦ Καυκάσου καὶ Ἰβήρων καὶ Ἀλβανῶν, Σαυρομάται καὶ Σκύθαι καὶ Ἀχαιοὶ καὶ Ζυγοὶ καὶ Ἡνίοχοι.

...ეს ქვეყნები უკავიათ მეოტებს და მათ, რომლებიც არიან ჰირკანისა და პონტოსს შორის კავკასიონამდე, იბერებსა და ალბანებამდე, ასევე – სავრომატებს, სკვითებს, აქაეებს, ძიგებსა და ჰენიოხებს.

XI. 2. 1

...πρὸς δὲ τῇ θαλάττῃ τοῦ Βοσπόρου τὰ κατὰ τὴν Ἀσίαν ἐστὶ καὶ ἡ Σινδική· μετὰ δὲ ταύτην Ἀχαιοὶ καὶ Ζυγοὶ καὶ Ἡνίοχοι Κερκέται τε καὶ Μακροπόγωνες. Ὑπέρκειται δὲ τούτων καὶ τὰ τῶν Φθειροφάγων στενά.

...ბოსპოროსის ზღვასთან, აზიის მხარეს მდებარე ქვეყანათა შორისაა სინდიკე. შემდეგ აქაეები, ძიგები, ჰენიოხები, ასევე კერკეტები და მაკროპოგონები. ამათ ზემოთ ფთეროფაგების ვიწრობებია.

აპიანოსი, მითრიდატეს ომების ისტორია

69

... σύμμαχοί τε αὐτῷ προσεγίνοντο, χωρὶς τῆς προτέρας δυνάμεως, Χάλυβες, Ἀρμένιοι, Σκύθαι, Ταῦροι, Ἀχαιοί, Ἡνίοχοι, Λευκόσυροι καὶ ὅσοι περὶ Θερμῶδοντα ποταμὸν γῆν ἔχουσι, τὴν Ἀμαζόνων λεγομένην.

...უწინდელი ძალების გარდა მას [მითრიდატეს] მოკავშირეებად შეემატნენ: ხალიბები, არმენიელები, სკვითები, ტავროსელები, აქაეები, ჰენიოხები, ლევკოსიროსები და ისინი, რომელთაც მდინარე თერმოდონთან ეგრეთწოდებული ამამონთა ქვეყანა უკავიათ.

კლავდიოს პტოლემეისი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო

V. 9 [აზიის რუკა II]

ὑπὸ δὲ τὰς ὀρεινὰς ῥάχεις Βοσπορανοὶ μὲν ἐφ' ἐκατέρω τοῦ Κιμμερίου Βοσπόρου· παρὰ δὲ τὸν Πόντον Ἀχαιοί, καὶ Κερκέται, καὶ Ἡνίοχοι, καὶ Σουαννοκόλχοι, ὑπὲρ δὲ τὴν Ἀλβανίαν Σαναραῖοι.

ხოლო მთიანი ქედების ძირში, კიმერიის ბოსპოროსის ორივე მხარეს [ცხოვრობენ] – ბოსპორანები, პონტოსის გასწვრივ – აქაეები, კერკეტები, ჰენიოხები და სუანოკოლხები, ხოლო ალბანიის ზემოთ – სანარეები.

გაიუს პლინიუს სეკუნდუსი (უფროსი), ბუნების ისტორია

VI (16)

A Dioscuriade oppidum Heracleum distat, a Sebastopoli LXX. *Achaei*, Mardi, Cercetae, post eos Seraci, Cephalotomi. in intimo eo tractu Pityus oppidum opulentissimum ab Heniochis direptum est.

დიოსკურიასის შემდეგ არის ქალაქი ჰერაკლეუმი, სებასტოპოლისიდან 70000 [პასუსით] დაშორებული. აქაეები, მარდები, კერკეტები, მათ მოსდევენ სერაკები და კეფალოტომები. ამ რეგიონის სიღრმეში მდებარე ძალიან მდიდარი ქალაქი პიტელის ჰენიოხებმა გაავერანეს.

ბ) აქადების განსახლება დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე გადმოცემებში ტრადიციულად უკავშირდება ორ მითოლოგიურ ციკლს – იასონის (ე. ი. არგონავტების) ლაშქრობას კოლხეთში და ტროის ომის შემდგომ მიგრაციებს. პონტოსპირეთის Ἀχαιοί-ის შესახებ დიონისიოს ჰალიკარნასელი წერს:

დიონისიოს ჰალიკარნასელი, რომის სიძველეთმცოდნეობა

I. 89. 4

... Ἀχαιοὶ οἱ περὶ τὸν Πόντον ... φῆλον μὲν ἐκ
τοῦ Ἑλληνικωτάτου γενόμενοι, βαρβάρων δὲ
συμπάντων τῶν νῦν ὄντες ἀγριώτατοι.

... აქადებთაგან ისინი, [რომლებიც]
პონტოსთან [ცხოვრობენ] ... ნამდვილი
ბერძნები წარმოშობით, ახლა ყველა
ბარბაროსზე უფრო ველურნი არიან.

აქადების კავშირს საბერძნეთის აქაველებთან, დიონისიოსის გარდა, სხვა ავტორებიც გვამცნობენ:

ჰეროდოტე, ისტორია

VII. 197

Τὰ τα δὲ πάσχουσι οἱ Κυτίσσερο τοῦ Φριζοῦ
παιδὸς ἀπόγονοι, διότι καθαρὸν τῆς χώρας
ποιεμένων Ἀχαιοὶν ἐκ θεοπροπίου Ἀθάμαντα
τὸν Αἴολου καὶ μελλόντων μιν θύειν
ἀπικόμενος οὗτος ὁ Κυτίσσωρος ἐξ Αἴης τῆς
Κολχίδος ἐρρύσατο...

ასე ექცევიან ფრიქსოსის შვილის,
კიტისოროსის ჩამომავლებს. ეს იმიტომ,
რომ, როდესაც მისნობის თანახმად აქადები
ქვეყნის განწმენდის მიზნით ეოლოსის ძე
ათამასს მსხვერპლად შეწირვას
უპირებდნენ, ეს კიტისოროსი აია
კოლხისიდან მივიდა და გაათავისუფლა
იგი...

სტრაბონი, გეოგრაფია

XI. 2. 12

φασὶ δ' ἀπὸ τῆς Ἰάσονος στρατιᾶς τοὺς μὲν
Φθιώτας Ἀχαιοὺς τὴν ἐνθάδε Ἀχαΐαν οἰκίσαι,
Λάκωνας δὲ τὴν Ἑνιοχίαν, ὧν ἤρχον Πήκας
καὶ Ἀμφίστρατος οἱ τῶν Διοσκούρων ἰνίοχοι,
καὶ τοὺς Ἑνίοχους ἀπὸ τούτων εἰκὸς
ὠνομάσθαι.

ამზობენ, რომ იასონის ლაშქრიდან ფთიელმა
აქაველებმა დაასახლეს აქაური აქაია, ხოლო
ლაკონიელებმა – ჰენიოხია, რომლებსაც
მართავდნენ რეკასი და ამფისტრატოსი,
დიოსკურების მეეტლეები; როგორც ჩანს,
ჰენიოხებმა ამათგან მიიღეს სახელი.

IX. 2. 42

ἱστοροῦσι δὲ τοὺς ἐν τῷ Πόντῳ καλουμένους
Ἀχαιοὺς ἀποίκους Ὀρχομενίων εἶναι τῶν μετὰ
Ἰάλμενον πλανηθέντων ἐκεῖσε μετὰ τὴν τῆς
Τροίας ἄλωσιν.

მოგვითხრობენ, რომ პონტოსში მცხოვრები
აქადებად წოდებული [ხალხი] ორქომენელი
კოლონისტები არიან და იალმენოსთან
ერთად მოეხეტნენ აქ ტროის დაცემის
შემდეგ...

აპიანოსი, მითრიდატეს ომების ისტორია

67

... ἐς δ' Ἀχαιοὺς τοὺς ὑπὲρ Κόλχου ἐσβαλέν, οἱ
δοκοῦσιν εἶναι πῶν ἐκ Τροίας κατὰ τὴν
ἐπάνοδον πλανηθέντων...

... [მითრიდატესი] თავს დაესხა კოლხების
გაღმა მცხოვრებ აქაეებს, რომელთა
შესახებაც ფიქრობენ, რომ გზა აებნათ
ტროის ომიდან უკან დაბრუნებისას...

გ) ანტიკურ წყაროებში აქაეებს მოიხსენიებენ, როგორც ველურსა და გაუნათლებელ ხალხს:

არისტოტელე, პოლიტიკა

1338 b

πολλὰ δ' ἐστὶ πῶν ἐθνῶν ἂν πρὸς τὸ κτείνειν καὶ
πρὸς τὴν ἀνθρωποφαγίαν εὐχερῶς ἔχει,
καθάπερ πῶν περὶ τὸν Πόντον Ἀχαιοὶ τε καὶ
Ἡνίοχοι.

მრავალი ხალხი არსებობს, რომლებსაც
მიდრეკილება აქვთ კაცისკვლისა და
კაციჭამიობისადმი, როგორებიც არიან,
მაგალითად, პონტოსის [მიდამოებში
მცხოვრებელთაგან] აქაეები და ჰენიოხები.

სტრაბონი, გეოგრაფია

XVII. 3. 24

... Ὅμοίως δὲ καὶ τῆς Ἀσίας ἢ καθ' ἑμᾶς
παράλια πᾶσα ὑποχείριός ἐστιν, εἰ μὴ τις τὰ
πῶν Ἀχαιῶν καὶ Ζυγῶν καὶ Ἡνιόχων ἐν λόγῳ
τίθεται, ληστρικῶς καὶ νομαδικῶς ζώντων ἐν
στενοῖς καὶ λυπροῖς χωρίοις.

... ასევე [რომაელების] ხელქვეითია ჩვენკენ
მომართული აზიის მთელი სანაპირო, თუ
არ მივიღებთ მხედველობაში აქაეების,
ძიგებისა და ჰენიოხების [მხარეს]; ესენი
ვიწრო და მწირ ადგილებში ცხოვრობენ
ყაჩაღობითა და მომთაბარეობით.

პომპონიუს მელა, ქვეყნის აღწერილობის შესახებ

I (110)

... reliqua eius ferae incultaeque gentes vasto
mari adsidentes tenent, Melanchlaena, Toretica,
sex Colicae, Coraxici, Phthirophagi, Heniochi,
Achaei, Cercetici, et iam in confinio Maeotidis
Sindones.

... დანარჩენი ნაწილი უჭირავთ ველურ და
გაუნათლებელ ტომებს, ფართო ზღვასთან
მცხოვრებთ – მელანქლენებს, ტორეტიკებს,
ექვს კოლიკ [ხალხს]: კორაქსიკებს,
ფთიროფაგებს, ჰენიოხებს, აქაეებს,
კერკეტიკებს და, უკვე მეოტისის ახლოს –
სინდონებს.

ჩვენთვის საინტერესო ძირი მხოლოდ ეთნონიმში არ გვხვდება. პონტოსპირეთში დასტურდება ამავე ძირის (Ἀχαι-) სხვა სახელებიც: არიანე იცნობს გეოგრაფიულ პუნქტს „ძველი აქაია“ და „მდინარე „აქაიუს“, კლავდიუს პტოლემეაიოსი – „სოფელ აქაიას“, სტრაბონი კი ასახელებს „ქვეყანა აქაიას“.

სტრაბონი, გეოგრაფია

XI. 2. 12

φασὶ δ' ἂν πὸ τῆς Ἰάσονος στρατῆς τοὺς μὲν
Φθιώτας Ἀχαιοὺς τὴν ἐνθάδε Ἀχαιῶν οἰκίσαι,
Λάκωνας δὲ τὴν Ἡνιοχίαν...

ამბობენ, რომ იასონის ლაშქრიდან ფთიელმა
აქაელებმა დაასახლეს აქაური აქაია, ხოლო
ლაკონიელებმა – ჰენიოხია...

არიანე, ევქსინოს პონტოსის პერიპლუსი

28

Ἀπὸ δὲ Ἀχαιοῦντος εἰς Ἡράκλειαν ἦκραν
 πεντήκοντα καὶ ἑκατὸν σπῆδιοι. ἐνθάδε εἰς
 ἦκραν, τήνaper σκεφὴ ἐστὶν ἀνίσμου
 Θρασκίου καὶ βορρά, ἐγδοήκοντα καὶ ἑκατὸν.
 ἐνθάδε εἰς τὴν καλουμένην Παλαίαν Λαζικὴν
 ὀκτὼκοντα καὶ ἑκατὸν σπῆδιοι. ἐνθάδε εἰς τὴν
 Παλαίαν Ἀχαιοῦν πεντήκοντα καὶ ἑκατὸν, καὶ
 ἐνθέν εἰς Πέγρας λιμὴν πεντήκοντα καὶ
 τριακόσιοι.

[მდინარე] აქაიუსიდან ჰერაკლეს
 კონცხამდე 150 სტადიონია. აქედან
 ბორცვამდე, სადაც თავდასაცავია ქარების –
 თრასკიოსისა და ბორეასისგან, 180
 სტადიონია. აქედან ეგრეთ წოდებულ ძველ
 ლაზიკემდე 120 სტადიონია. აქედან ძველ
 აქაიამდე – 150. აქედან ნავსადგურ პაგრამდე
 – 350.

კლავდიოს პტოლემეოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო

V. IX. 8

μετὰ δὲ τὴν Κορυκῶδᾶμην ἐν τῇ Πόντῳ πάλιν
 Ἑρμῶνασσα χη' μζ'
 Σινδικὸς λιμὴν χε' μζ γ'
 Σίνδα κῶμη χς' μη'
 Βάτα λιμὴν χς' μζ γο'
 Βάτα κῶμη χς γ' μζ γ'
 Ψυχροῦ ποταμοῦ ἐκβολαί.....χς γο' μζ γ'
 Ἀχαιῶν κῶμη χζ' μζ'

კოროკოდამეს შემდეგ პონტოსშია ასევე:
 ჰერმონასა – 650– 47030'
 ნავსადგური სინდიკოსი – 65030'– 47050'
 სოფელი სინდა – 660– 480
 ნავსადგური ბატა – 66030'– 47040'
 სოფელი ბატა – 66020'– 47030'
 მდინარე ფსიქროსის შესართავები – 66040'–
 47030'
 სოფელი აქაია – 670 – 47030'

მამასადამე, ბერძნული და რომაული წყაროების მიხედვით, პონტოსპირეთში აღინიშნება Ἀχαι- ძირისგან წარმოებული სხვადასხვა სახელი:

- ეთნონიმი: Ἀχαιοί, Achaei
- ტოპონიმები: დასახლება παλαιὰ Ἀχαιῶν, Achaia, სოფელი Ἀχαιῶν κῶμη
- ჰიდრონიმი: Ἀχαιοὺς
- ეპითეტი: Ἀχαιῶν

Ἀχαι- ძირისგან წარმოებული ონომასტიკური მასალის სიმრავლე მიუთითებს ამ ძირის ღრმა ისტორიულ ფესვებზე რეგიონში.


რა ვიციტ საბერძნეთის აქაველების შესახებ:

ანტიკურ ტრადიციაში მოგვეპოვება, ერთი მხრივ, ცალკეულ ბერძნულ ტომთა სახელწოდებები, მეორე მხრივ კი, ბერძნების აღმნიშვნელი განმაზოგადებელი ტერმინები. ჰომეროსი ნათლად ხედავს ბერძენთა შორის რეგიონალური პრინციპით განსხვავებას და დანაელთა სიაში სხვათა გვერდით მოიხსენიებს ხალხებს, რომლებიც ძირითადად იწოდებიან იმ რეგიონების მიხედვით, სადაც მოსახლეობენ. ესენი არიან: ბეოტიელები, ფოკიელები, ლოკრები, ევბეელები, არგოსელები, ლაკედემონელები, არკადიელები, კეფალენიელები, ეტოლიელები, კრეტელები, როდოსელები, მირმიდონელები, მაგნეტები... ამასთანავე, ნათლად მიგვანიშნებს, რომ მრავალრიცხოვანი ბერძნული ტომები ქმნიან ერთიანობას, ამ ერთიანობის აღსანიშნავად კი იგი გამოიყენებს შემდეგ სახელწოდებებს: Ἀχαιοί – აქაველები, Δαναοί – დანაელები, Ἀργεῖοι – არგიველები (II. 2. 569; 9. 37, 70). Ἀχαιοί ასევე წარმოადგენს ერთ-

ერთ ბერძნულ ტომს, რომელიც პელოპონესზე, კერძოდ ძველ აქაიაში, არგოსსა და მიკენში იყო გავრცელებული.

Ἀχαιοί (ატიკურად Ἀχαιῶν) მიუთითებს თესალიისა და პელოპონესის გეოგრაფიულ რეგიონებზე; ამავე სახელწოდებას ვხვდებით ქალაქის დასახელებაში – როდოსზე და სხვაგან (Schwyzer, 2013, გვ. 265-460). ამ სახელის ადრეული ვარიანტები ფიქსირდება ეგვიპტურ წყაროებსა ('q'jw's' / Aqaiwaša) (Frisk, 1960-1972) და ხეთურ ლურსმნულ ტექსტებშიც (Aḫḫia, შემდგომ Aḫḫiaua) (Kretschmer, 1933, p. 227).

ქართულ თარგმანებში ეთნონიმ Ἀχαιοί-ის გადმოტანა არაერთგვაროვანია: *აქადები, აქეები, აქელები, აქელები...*, ბერძნული ტომის აღსანიშნავად კი დამკვიდრდა ფორმა *აქველები*. როგორც ჩანს, მთარგმნელები ამ გზით ასხვავებენ საბერძნეთსა და პონტოსპირეთში ბინადარ Ἀχαιοί-ს. თეოფილე კანდელაკის 1879 წლის სტატიაში „მატიანე ტროადის ბრძოლისა ქართულს ენაზედ“, რომელიც გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა, ეთნონიმი ყველგან *ბერძნებად* ან *ელინებად* არის თარგმნილი ისევე, როგორც 1899 წლის პუბლიკაციებში ტროის ომის შესახებ. 1891 წლის თარგმანში მამია გურიელი იყენებს ფორმას *აქელები*, 1903 წელს პეტრე მირიანაშვილი – *აქელები*, 1928 წელს კი ალექსანდრე მიქაბერიძის წიგნში „ტროადის ომი“ ასევე გვხვდება *აქელები*. წარმოგიდგენთ ჰომეროსის პირველ თარგმანს რუსულიდან (იესე გარსევანიშვილის), სადაც ვ უკვე ჩანს.



სახელწოდება Ἀχαιοί აღდება უძველესი ფორმით Ἀχαιῶν (Achaiōn), რაც შეესაბამება ლათინურ Achivi-ს (Beekes, 2010); ქართულ თარგმანებში ვ-ს ასახვა, შესაბამისად, განპირობებული უნდა იყოს ამ სიტყვაში თავდაპირველად დიგამას არსებობით, ხოლო ე-ს არსებობა (*აქეები, აქელები, აქეველები*) – ბიზანტიური გავლენით: **αι** დიფთონგი (ლათინურში **ae**), რომელშიც **ι** სუსტად ისმოდა, ბიზანტიურში გადაიქცა ე-დ.

რომაელ ავტორებთან, როგორც ჩანს ბერძნულის გავლენით, შემდეგი დაწერილობა გვხვდება: Achaei, Achaia, ანუ ეთნონიმში ბერძნული **αι** დიფთონგის ადგილას გვხვდება ლათინური **ae** მაშინ, როცა ტოპონიმში შენარჩუნებულია **ai**. ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დასახლების ბერძნულ სახელწოდებაში **αι** დიფთონგი თავზე ორწერტილით იწერება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დიფთონგის შემადგენელი ხმოვნები უნდა წავიკითხოთ ცალ-ცალკე (παλαιά Ἀχαιῶν, Ἀχαιῶν κῶμη).

ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე რეკომენდებულია პონტოსპირეთის ტომისთვის ფორმები *აქაძები* ან *აქაძელები* (თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ არსებობს დასახლება აქაძა), ხოლო ბერძნული ტომისთვის – *აქაველები*.

მიუხედავად იმისა, რომ ეთნონიმი Ἀχαιοί ერთ-ერთ უძველეს ბერძნულ ტერმინად ითვლება, ენათმეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს, რომ იგი წინაბერძნული წარმომავლობის უნდა იყოს. პიერ შანტრენის ლექსიკონში, სადაც თითოეული სიტყვის ეტიმოლოგია მკაფიოდ და დეტალურადაა წარმოდგენილი, Ἀχαιοί არ განიხილება ინდოევროპულ ფუძეთა შორის. ავტორი საუბრობს ამ ეთნონიმის სუბსტრატულ, წინაბერძნულ ბუნებაზე და მიიჩნევს, რომ ძირითადი Ἀχαι- არ შეესაბამება ბერძნულ ენაში დამკვიდრებულ ფონოლოგიურ და მორფემულ ნორმებს, მისი ეტიმოლოგიის ბუნდოვანება და სტრუქტურული თავისებურებები იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ სახელწოდება თავდაპირველად ერთ-ერთი წინაბერძნული ტომის ეთნონიმს წარმოადგენდა და შემდეგ გავრცელდა ბერძნულ სამყაროში (Chantraine, 1968–1980). შანტრენის პოზიციას იზიარებს არაერთი ენათმეცნიერი, მათ შორის რობერტ ბიქესი, რომელიც მიიჩნევს, რომ სახელწოდება უდავოდ წინაბერძნულია, სავარაუდოდ ფუძით Akayʷa- (Beekes, 2010).

რა კავშირი უნდა ყოფილიყო ბერძენ აქაველებსა და შავი ზღვის სანაპიროს აქაძებს შორის და რა რეალური საფუძველი უნდა ჰქონოდათ ანტიკური ხანის ავტორებს, რომ ერთმანეთთან დაეკავშირებინათ საბერძნეთსა და კავკასიაში ბინადარი ტომები?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წყაროებში აქაძების მოსვლა საბერძნეთიდან ორნაირად თარიღდება, ერთი თარიღია იასონის ლაშქრობა, ხოლო მეორე – ტროის დაცემა. ამ ტომის საცხოვრისი, როგორც ჩანს, იცვლებოდა სხვადასხვა ისტორიულ სიტუაციაში – სტრაბონი ერთად ასახელებს აქაძებს, ძიგებსა და ჰენიოხებს, რომლებიც ზღვის სანაპიროზე არიან სინდიკესა და გორგიპიის სამხრეთით, მაგრამ კოლხებზე უფრო ჩრდილოეთით (Strab. XI. 5. 31; XI. 2. 1; XI. 5. 6); ტაციტუსის დიალოგების XII წიგნში კი ნათქვამია, რომ სკვითიაში და ნადირებისა და შფოთიანი ტომების მთელ იმ მხარეში აღინიშნება პონტოსის ნაპირებზე დაფუძნებული აქაძების სამოქალაქო მოსახლეობა. შემდეგ კი ავტორი დასძენს, ვერც მარადიული ზამთრის სიმკაცრემ და ვერც (ადგილობრივი) მოსახლეობის იქაურ ჰავასავით შემადრწუნებელმა ზნე-ჩვეულებებმა ვერ შეუშალეს ხელი იქ გადასახლების მოსურნეებსო (Tacit. XII. 7).

ზოგადად, ანტიკურ წყაროებში იდენტური სახელწოდების ტომისა თუ დასახლების მოიხსენიება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში და სხვადასხვა ქრონოლოგიურ ფარგლებში არცთუ იშვიათია (სანიგები, ტრაპეძუსი, სანები, ჰენიოხები, ფაზისი, ძიქები, სებასტოპოლისი, პიტინტი...), რასაც მკვლევართა ერთი ნაწილი ავტორების დაუდევრობას აბრალებს, თუმცა, საფიქრებელია, რომ აღნიშნული შემთხვევები უფრო რთული ისტორიული პროცესების ასახვაა, ვიდრე ავტორთა უპასუხისმგებლობის შედეგი. ამგვარი ცნობები შეიძლება აიხსნას რამდენიმე გარემოებით, პირველ რიგში, ეთნიკური მიგრაციებით, რომლებმაც გამოიწვია ტომთა გეოგრაფიული გადანაცვლება; ამასთან, გასათვალისწინებელია ანტიკური ავტორების მიერ სხვადასხვა ქრონოლოგიური პერიოდის წყაროთა გამოყენება, რაც კარგად ასახავს რეგიონის ეთნოგრაფიულ ცვლილებებს დროთა განმავლობაში. აქაძების მაგალითზე შესაძლებელია ორი ინტერპრეტაციის შემოთავაზება: ერთი მხრივ, ანტიკურ წყაროებში შემონახული სახელწოდება, შესაძლოა, ასახავდეს ადგილობრივ ტერმინს – როგორც ვიცით, ძველი ბერძნები ქართველურ სახელებს ან თარგმნიდნენ, ან კალკირებას ახდენდნენ, თუმცა ხშირად უცხო ტოპონიმს ფონეტიკურად მსგავსი ბერძნული ლექსებით ანაცვლებდნენ. შესაძლოა, სწორედ სახელთა მსგავსებამ განაპირობა ამ ორი ტომის ერთმანეთთან

დაკავშირება, რამაც ეტიოლოგიური გადმოცემების ჩამოყალიბება გამოიწვია ანტიკურ ისტორიოგრაფიაში; მეორე მიდგომა ეფუძნება ძირის ეტიმოლოგიურ ბუნებას – ძირის Ἀχαι-წინაბერძნული, არაინდოევროპული წარმომავლობის გათვალისწინებით, დასაშვებია, რომ პონტოსპირეთისა და საბერძნეთის ონომასტიკურ მასალაში შენარჩუნებულია ერთი და იგივე სუბსტრატული ფუძე, რაც ასახავს II ათასწლეულში ხმელთაშუაზღვისპირეთში მიმდინარე მიგრაციულ პროცესებს. ამ ჰიპოთეზას ამყარებს ის გარემოება, რომ განსახილველი ძირი წარმოდგენილია არა მხოლოდ ეთნონიმში, არამედ ტოპონიმებსა და ჰიდრონიმებშიც, რაც მიუთითებს ერთი ძირისაგან წარმოებულ ონომასტიკურ სისტემაზე.

დასკვნები. ანტიკური წყაროების, ონომასტიკური და ეტიმოლოგიური მასალის კომპლექსური ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები პონტოსპირეთისა და საბერძნეთის Ἀχαιοί-ის ურთიერთმიმართების შესახებ:

ეთნონიმი Ἀχαιοί ანტიკურ წყაროებში გვხვდება ორ გეოგრაფიულ არეალში – საბერძნეთსა და პონტოსპირეთში. პონტოსპირეთში Ἀχαι- ძირისგან წარმოებული მდიდარი ონომასტიკური მასალის არსებობა მიუთითებს ამ სახელწოდების დრმა ისტორიულ ფესვებზე რეგიონში, რადგან ერთი ძირისაგან წარმოებული ამდენი საკუთარი სახელის კონცენტრაცია შემთხვევითობით ვერ აიხსნება.

საბერძნეთისა და პონტოსპირეთის აქაძების კავშირის ახსნა შესაძლებელია ორი გზით: ეთნონიმების ფონეტიკური მსგავსებით (ადგილობრივი სახელწოდების ბერძნული ადაპტაცია და ეტიოლოგიური მითების შექმნა) ან საერთო არაინდოევროპული ეთნო-ლინგვისტური ფუძის არსებობით. ორივე ჰიპოთეზა საჭიროებს შემდგომ მულტიდისციპლინურ კვლევას, რომელიც გააერთიანებს ლინგვისტურ, არქეოლოგიურ და მითოლოგიურ მონაცემებს.

ქართულ თარგმანებში Ἀχαιοί ეთნონიმის მრავალი ფორმის (*აქაძები, აქეები, აქელები, აქაველები...*) არსებობა მიუთითებს სანორმო ტერმინოლოგიის შემუშავების საჭიროებაზე. ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე რეკომენდებულია პონტოსპირეთის ტომისთვის ფორმები *აქაძები* ან *აქაძელები*, ხოლო ბერძნული ტომისთვის – *აქაველები*.

კვლევამ გამოავლინა ქართველურ და მედიტერანულ ენობრივ სამყაროში პარალელური ტოპონიმებისა და ეთნონიმების სისტემური შესწავლის აუცილებლობა. ასეთი კვლევები შესაძლებელს გახდის ძველი კოლხეთისა და იბერიის ისტორიის რეკონსტრუქციის ახალი სამეცნიერო ხედვის შემუშავებას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები/ References

- Appianus. (1939). *Appiani historia Romana* (Vol. 1, P. Viereck, A. G. Roos, & E. Gabba, Eds.). Leipzig: B. G. Teubner.
- Aristoteles. (1957). *Politica* (W. D. Ross, Ed.). Oxford: Oxford University Press.
- Arrianus. (1855). *Periplus Euxeinou Pontou*. In K. Müller (Ed.), *Geographi Graeci minores* (Vol. 1). Paris: A. Firmin Didot.
- Beekes, R. S. P. (2010). *Etymological Dictionary of Greek*. Leiden/Boston: Brill.
- C. Plinius Secundus. (1892–1909). *Naturalis Historia* (L. Jan & C. Mayhoff, Eds.). Stuttgart: B. G. Teubner.

- Chantraine, P. (1968–1980). *Dictionnaire étymologique de la langue grecque: Histoire des mots*. Paris: Klincksieck.
- Claudius Ptolemaeus. (1843–1845). *Geographia* (Lib. 4–8) (Vols. 1–2, C. F. A. Nobbe, Ed.). Leipzig: B. G. Teubner.
- Finkelberg, M. (1988). *The Mycenaean Origin of the Greek Achaioi*. *Glotta*, 66, 127–134.
- Frisk, H. (1960-1972). *Griechisches etymologisches Wörterbuch* (3 vols.). Heidelberg: Carl Winter.
- Herodotus. (1930–1960). *Histoires* (Vols. 1–9, Ph.-E. Legrand, Ed.). Paris: Firmin Didot.
- Homer. (1920). *Ιλιάς* (*Homeri Ilias*, D. B. Monro & T. W. Allen, Eds.). Oxford University Press. (Original work published ca. 8th century BCE)
- Kretschmer, P. (1933). *Die Achaier bei den Hethitern*. *Glotta*, 21, 220–240.
- Pomponius Mela. (1971). *De Chorographia* (G. Ranstrand, Ed.). Göteborg: Acta Universitatis Gothoburgensis.
- Skylax Caryandensis. (1855). *Periplous tēs thalassēs tēs oikoumenēs Eurōpēs kai Asias kai Libuēs*. In K. Müller (Ed.), *Geographi Graeci minores* (Vol. 1). Paris: A. Firmin Didot.
- Strabo. (1877). *Geographica* (Vols. I–III, Meineke, Ed.). Leipzig: B. G. Teubner.
- Tacitus, C. (1883). *Dialogi* (O. Plasberg, Ed.). Leipzig: Teubner.